ვაკანსიის № 91981

პოზიციის დასახელება	სტაჟიორი ადმინისტრაციულ დეპარტამენტში
კონკურსის ტიპი	სტაჟირება
ორგანიზაცია	სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტო
კატეგორია	სამეურნეო
განცხადების ბოლო ვადა	20.04.2025
თანამდებობრივი სარგო	657 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	თბილისი
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი

ფუნქციები

ა) გაეცნოს დეპარტამენტის, სამეურნეო სამმართველოს და მთლიანად სააგენტოს მუშაობის სპეციფიკას. კომპეტენციის ფარგლებში, მონაწილეობა მიიღოს სხვადასხვა საკითხზე გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში;
ბ) გაეცნოს სამსახურებრივ დოკუმენტაციას, ისარგებლოს სათანადო ინფორმაციით (ელექტრონული საშუალებებითა და სხვა), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
გ) დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს სააგენტოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	სტუდენტი
პროფესია	ეკონომისტი ან იურისტი

საკონკურსო თემატიკა

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ღვინის ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2012 წლის 17 აპრილის □2-67 ბრძანება.

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	ძალიან კარგი
Microsoft Office Excel	ძალიან კარგი

ენები

ენა	წერითი უნარები	მეტყველება
ინგლისური	B1	B1

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	მარშალ გელოვანის გამზ. □32, 0159 თბილისი.
საკონტაქტო ტელეფონები	032 297 41 03

დამატებითი მოთხოვნები

სტაჟიორად შეიძლება მიღებულ იქნეს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
ა) იცის სახელმწიფო ენა;
ბ) სწავლობს უმაღლესი განათლების პირველ (დამამთავრებელი სასწავლო წლის შემთხვევაში) ამ მე-2 ან მე-3 საფეხურზე ან/და დასრულებული აქვს უმაღლესი განათლების ერთ-ერთი საფეხური ეკონომიკის ან/და იურიდიული მიმართულებით;

დამატებითი ინფორმაცია

სტაჟირების ხანგრძლივობა - 3 თვე
- კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა განაცხადი უნდა წარადგინოს ელექტრონული ფორმით;
- კონკურსანტმა შესაბამის გრაფაში უნდა ატვირთოს:
ა) უმაღლესი განათლების/სწავლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) სამოტივაციო წერილი;
- უცხოენოვანი დიპლომის შემთხვევაში, კანდიდატმა უნდა ატვირთოს ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
- გასაუბრების ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ კანდიდატების ინფორმირება მოხდება აპლიკაციაში მითითებული ელექტრონული ფოსტის ან/და სატელეფონო ზარის მეშვეობით;
- განაცხადის გამოგზავნით კანდიდატი ადასტურებს, რომ იცნობს და ეთანხმება კონკურსის შესახებ შეტყობინებაში მოცემულ მოთხოვნებს, ფუნქციებსა და პირობებს. ასევე, ის თანახმაა, თავის განაცხადში მითითებული პერსონალური მონაცემები, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, დამუშავდეს სტაჟიორის შერჩევის მიზნებით და ასევე, გამოთქვამს თანხმობას ამავე კონკურსის ფარგლებში კანდიდატის შესახებ საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტის მოიძიების/გადამოწმების თაობაზე;

პირი სტაჟიორად არ მიიღება, თუ:
ა) იგი ნასამართლევია განზრახი დანაშაულისთვის;
ბ) იგი საჯარო სამსახურიდან გათავისუფლდა დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის და დისციპლინური გადაცდომის ჩადენისთვის გათავისუფლებიდან 1 წელი არ გასულა;
გ) მან სტაჟიორად მიღებისას არ წარადგინა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმის ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ან წარდგენილი ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა ადასტურებს მის მიერ ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტს;
დ) იგი სასამართლომ მხარდაჭერის მიმღებად ცნო, თუ სასამართლოს გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული;
ე) თუ სტაჟირების მსურველი პირის მიერ იმავე საჯარო დაწესებულებაში 2022 წლის 1 ნოემბრიდან გავლილი სტაჟირების საერთო ვადა შეადგენს 12 თვეს.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

- საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით, განცხადებების მიღების ვადის ამოწურვიდან 3 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
გასაუბრება

სავალდებულო ბლოკები

☑პირადი ინფორმაცია

☑განათლება კვალიფიკაცია
☑ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

☑სამოტივაციო წერილი